პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერიეთ!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 43 (19485) ◆ ხუთშაბათი, 20 თებერვალი, 1986 წ. ◆ ფასი 3 კაპ.

ეკონომიკური ცოდნა — მასებს!

ახალხო მეურნეობის ნებისმიერ დარგში წარმატებათა მოპოვების ერთ-ერთი მთავარი წანამძღვარი მუდამ იყო მისდამი სწორი ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების ნიადაგ სრულყოფა. მაგრამ ეს განსაკუთრებით აუცილებელია დღეს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე პირობებში, როდესაც საბჭოთა ადამიანები ნაყოფიერად შრომობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ოქტომბრის პლენუმების მიერ დასახული ქვეყნის დაჩქარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კურსის სრული რეალიზაციისა და სკკპ მრეიგი, XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, რომელიც შემდგომი წინსვლის, დიადი აღმშენებლობის ახალ ორიენტირებს დასახავს.

მართვის სრულყოფის პროცესი კი, როგორც ეს სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტშია აღნიშნული, „უნდა ეყრდნობოდეს მეურნეობის სოციალისტური გეგმიანი სისტემის უპირატესობებისა და შესაძლებლობების, ეკონომიკური კანონების უფრო ღრმა და ყოველმხრივ გამოყენებას, სრულად ითვალისწინებდეს საწარმოო ძალებსა და წარმოებითის ურთიერთობაში მომხდარ ცვლილებებს, შრომელთა ფართო მასების განათლების, შეგნების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების ზრდას“.

სწორი ამის მიღწევის ერთ-ერთი საუკეთესო და ნაყიდი საშუალებაა შრომელთა უფართოესი მასების ეკონომიკური ცოდნის დონის განუხრელი ამაღლებისათვის მიმდინარე მუშაობის ეფექტიანობის გაღრმავება, საამოო ფორმებისა და მეთოდების სისტემატური დახვეწა, სწავლების პრაქტიკასთან, დღევანდელობის მოთხოვნებთან მჭიდროდ დაკავშირება. იქ, სადაც სწორედ ამგვარად უდგებიან ამ მნიშვნელოვან საქმეს, გამორიცხავენ ფორმალიზმსა და მოჩვენებითობას, ოჯახიული საკითხების გამუქებისას ეკონომიკური განათლების სისტემის წევრთა ყურადღებას მიაპყრობენ უშუალოდ შრომითს კოლექტივში არსებულ კონკრეტულ ვითარებას და მასთან მჭიდრო ურთიერთკავშირით განხილავენ ამა თუ იმ თემას, შედეგიც კარგია: მსმენელები მეცადინეობებზე მიღებულ თეორიულ ცოდნას უნარიანად იყენებენ პრაქტიკულ საქმიანობაში, აუმჯობესებენ საწარმოო მაჩვენებლებს, იჩენენ სასიკეთო თაოსნობებს.

ასე მოსდა, კერძოდ, შარშან ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის მანქანის მესამე საექსპლოატაციო უბანში, რომლის ეკონომიკური განათლების სკოლის მეცადინეობაზე იმეა პატრიოტული ინიციატივა დეკემბერში „მთელი საწარმოო პოტენციალი — ლენინური პარტიის XXVII ყრილობას!“. ამ კარგ წამოწყებას, რომელიც მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ფართოდ დაუჭირეს მხარი მთელ რესპუბლიკაში. ინიციატორებმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი შეასრულეს ქვანახშირის ამოღების მეთორმეტე ხუთწლიანი დავალება. მთლიანად მანქანის კოლექტივს კი გადაწყვეტილი აქვს წლევანდელი ორი თვის გეგმები სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულოს და თვის ბოლომდე დარჩენილ დროში 3.600 ტონა ზედგამოი პროდუქცია დაამზადოს.

ასეთი ფაქტების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, მაგრამ, სამწუხაროდ, არც უარყოფილი მაგალითებია ნაკლული. როგორც შარშან რესპუბლიკის ცაფეტი ქალაქისა და რაიონის საწარმო-დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოწყობილმა ხაზოვადობრივი ანრმის სოციოლოგიურმა გამოკვლევამ წარმოაჩინა, ორი ათასზე მეტი გამოკითხული რესპოდენტისა და ექსპერტის მხოლოდ 54 პროცენტის აზრით პროპაგანდისტებს აქვთ კარგი ეკონომიკური ცოდნა. მათი 58 პროცენტის აზრით, ჯგუფებში ეკონომიკური თეორიის სწავლება მოწყვეტილია პრაქტიკულ საქმიანობას, ხოლო გამოკითხულთა თითქმის ნახევარი არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს მეცადინეობებზე მსმენელთა დასწრებას. ყველაზე ცუდი კი მაინც ის არის, რომ გამოკითხულთა, მართალია, მცირე, მაგრამ მაინც საგრძნობ ნაწილს, მათ შორის ხელმძღვანელ მუშაკებსაც, საერთოდ არ მიაჩნიათ საჭიროდ ეკონომიკური სწავლება.

სოციოლოგიურმა გამოკვლევამ ისიც დაადგინა, რომ ბევრგან ძალზე დაბალია კადრების ეკონომიკური მომზადების დონე. კერძოდ, რესპუბლიკის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ სამრეწველო საწარმოში, რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტში“ გამოკითხული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის 90 პროცენტზე მეტმა და მუშების თითქმის 100 პროცენტმა არ იცის ისეთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური კატეგორიების არსიც კი, როგორიც არის შრომის ნაყოფიერება, მოგება, რენტაბელობა, ფონდუკუდგება, ნაწარმის თვითღირებულება და მასალატევადობა, სასაქონლო, წმინდა და მთლიანი პროდუქცია, სათანადოდ ვერ ერკვევა თვით ელემენტარულ საკითხებშიც კი. და მით უფრო გასაკვირია, რომ ისინი ჩამოული არ არიან სწავლების არც ერთ ფორმაში.

ბევრ სხვა რამესთან ერთად უთუოდ სწორედ შრომელთა ეკონომიკური სწავლების, მათი კვალიფიკაციისა და ცოდნის დონის განუხრელი ამაღლებისადმი ამგვარი ყოვლად უპასუხისმგებლო, გაუმარჯოლებელი დამოკიდებულების ბრალეა არის, რომ იმავე „აზოტთან“ ერთად წარმოების ზრდის მეთორმეტე ხუთწლიანი დავალება ვერ შეასრულეს „ქიმმაშკოს“, „საქნავთობის“, „საქქვანახშირის“, „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის“, „საქსოფლმანქანის“ საწარმო გაერთიანებათა, რუსთაველის მეტალურგიული, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნების, მუხუანი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროთა სისტემის შრომელებმა, რაც მძიმე ტვირთად დაუწვა რესპუბლიკის ეკონომიკას.

ეკონომიკა ყველაზე მთავარი პოლიტიკაა, ამიტომ კომუნისტური აღმშენებლობის ამჟამინდელი გრანდიოზული ამოცანები ავალდებულებს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შრომელთა ეკონომიკური სწავლების ეფექტიანობის გაზრდას. პარტიულმა კომიტეტებმა, როგორც ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო რესპუბლიკის კომუნისტთა XXVII ყრილობის დადგენილებაშია ნათქვამი, უნდა სრულყონ პოლიტიკური განათლების, ეკონომიკური სწავლების, ლექციური პროპაგანდის სისტემა, რათა წარმართონ იგი ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირით, უზრუნველყონ, რომ კომუნისტებმა, შრომელებმა ღრმად შეითვისონ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, რომ მათ შეეძლოთ შეძენილი ცოდნის პრაქტიკული გამოყენება.

საამისოდ კი რესპუბლიკის პირველადს პარტორგანიზაციებს, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს სერიოზული შუამობა მოუწევთ. საჭიროა ამ მნიშვნელოვან საქმეში ჯეროვანი წესრიგის დამყარება, საკმაოდ ფუსფადგენელი ფორმალიზმისა და მოჩვენებითობის ყოველგვარი გამოვლინების აღმოფხვრა, ყოველდღიური ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა. რადიკალურად უნდა გარდაქმნან საქმიანობის სტილი და მეთოდები ზემოდანშენელ პარტიულ კომიტეტებთან არსებულმა შრომელთა ეკონომიკური განათლების საბჭოებმაც. უფრო კონკრეტული, საქმიანი და პრინციპული უნდა გახდეს ამ საკითხებზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებთა გამოსვლები, ჟურნალ-გაზეთების პუბლიკაციები, რომლებიც საფუძვლიანად უნდა ამუქვეშდნენ საქმის მდგომარეობას, განაზოგადებდნენ და საყოველთაო კეთილებად დადინენ მოწინავე გამოცდილებას, მიუკერძოებლად აკრიტიკებდნენ არსებულ ნაკლოვანებებს, იღვწოდნენ მათი უთუო გამოსწორებისათვის.

„ადამიანები, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა, — უნდა აღმშენებლობა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით, მართალი სიტყვითა და რეალური საქმით. ამასთან პოლიტიკური განათლება, იდეური ზეგავლენა გაეკარნაროთ ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში, სახელმწიფო, საწარმოო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში შრომელთა სულ უფრო მზარდ მონაწილეობასთან. მხოლოდ კარგად მოფიქრებული ეკონომიკური სტრატეგიით, ძლიერი სოციალური პოლიტიკითა და მიზანმიმართული იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობით, მათი განუხრელი ერთიანობით შეიძლება გაკაკტიურთან ადამიანის ფაქტორი, ურომლისოდაც ვერ გადაწყდება ვერც ერთი დასახული ამოცანა. დღეს საკითხი სწორედ ასე დგას“.

პარტიის ეს მოთხოვნა განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, როდესაც სულ მცირე დრო დარჩა სკკპ XXVII ყრილობის მუშაობის დაწყებამდე, რომლის ღირსეული შეხვედრისათვის დიდი შემართებით, ენთუზიაზმით შრომობენ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის წარმომადგენლები. ნინ კი ბევრად მეტი საქმე, სავალოდ ამოცანებია, რომლებსაც დიდი საბჭოთა კომუნისტების მომავალი ფორუმი დაგვისახავს. სოლო მათი წარმატებული შესრულებისათვის მონდომებასთან ერთად სათანადო კვალიფიკაცია, შრომელთა საფუძვლიანი ეკონომიკური ცოდნა საჭიროა. სწორედ ეს უნდა იყოს რესპუბლიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმთავრესი ყოველდღიური საზრუნავი.

გორელ მეხილეთა და მებოსტნეთა ვალდებულება

ნეო წარმოების შემდგომი აღმავლობა უპირველესი მნიშვნელობის საქმედ მიიჩნიოთ, პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე მიიღეს მიმართვა საქართველოს ყველა მეხილის, მებოსტნისა და მეკანიზატორისადმი.

მიმართვა შეიცავს მოწოდებას კედელ უფრო გააქტიურონ მუშაობა უხვი მოსავლის მიღებისათვის, ხეხილის ბაღების და ბოსტნების მოვლის აგროკომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის. მნიშვნელოვნად გაიმარჯვოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხი.

გორელებმა ვალდებულება იკისრეს, უკვე ამ გაზაფხულზე გაამწვანონ ძირითადად ძვირფასი ჯიშის ატმის, ქლიავის, ვაშლის, მსხლის ახალი ბაღები, აღმოფხვრან სიმეჩხერე, ამ სეზონში 10-15 ცენტნერით გაზარდონ ბაღების ჰექტარობრივი მოსავლიანობა, შემდნან მეხილეთა და მებოსტნეთა 50 საიჯარო ბრიგადა, უზრუნველყონ მეურნეობები სასუქებით. ახალ ფართობებზე ითესება ბოსტნეული. განხორციელდა მატერიალური და შრომითი რესურსების, სარწყავი წყლის რაციონალური გამოყენების ღონისძიებანი. ყოველივე ეს აამაღლებს მიწათმოქმედების კულტურას, ხელს შეუწყობს შემდგომი წინსვლისათვის ყველა პირობის შექმნას, სასურსათო პროგრამის რეალიზაციას.

გორელები კისრულობენ ვალდებულებას: შრომის ნაყოფიერების გადიდების, მოწინავე ტექნოლოგიების, შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების გამოყენების შედეგად გეგმით გათვალისწინებული 85 ათასი ტონის ნაცვლად აწარმოონ 90 ათასი ტონა ხილი, რესპუბლიკის სარეწველო ცენტრებს გაუგზავნონ 2500 ტონა ხილი, მათ შორის თბილისელ მშრომელებს — 1500 ტონა ატაში, აწარმოონ 19 ათასი ტონა სხვადასხვა ბოსტნეული, მათ შორის ექვსი ათასი ტონა ხახვი, 4 ათასი ტონა პამიდორი. სახელმწიფოს გეგმით გათვალისწინებული 17.500 ტონის ნაცვლად მიჰყიდიან 18,5 ათას ტონა ბოსტნეულს. ამავე დროს რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს უზრუნველყონ გადამამუშავებელი მრეწველობა ფართო ასორტიმენტის ხარისხიანი პროდუქციით სხვადასხვა კონსერვის წარმოებისათვის. (საქინფორმი).

ბათუმური როლერები

ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა ერთადერთი საწარმოა კავშირში, რომელიც ჩაის ფაბრიკების სრულ აღჭურვილობას ამზადებს. კონსტრუქტორები და რაციონალიზატორები ყოველწლიურად აუმჯობესებენ მანქანების ხარისხს და ზრდიან მწარმოებლობას. შესანიშნავი გამოდგა, მაგალითად, ჩვენი გამომგონებლების გ. ცინცაძისა და ლ. ლაზარაშვილის მიერ შექმნილი ჩაის გადასამუშავებელი უწყვეტი ბაზი, რომლის სერიული წარმოებაც უკვე აეთვისეთ. წინამორბედთან შედარებით ორჯერ უფრო მწარმოებლურია აგრეთვე ჩვენივე სპეციალისტების შ. ჩაგუნავის, გ. ფტომბინისა და გ. ცინცაძის მიერ კონსტრუირებული ჩაის დასამუშავებელი როლერი. ჩაის მრეწველობას წლეულს ათობით ასეთ როლერს მივაწვდით.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიზნით საწარმომ კავშირი დაამყარა ქვეყნის მრავალ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან. ისინი გვეხმარებიან როგორც მანქანების ათვისებაში, ისე ქარხნის ახალი ტექნიკით უზრუნველყოფის მიმართულებით. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ბევრს აკეთებს ჩვენი მონათესავე საწარმოც — ელექტრომექანიკური ქარხანა. როგორც ცნობილია, აქ დამზადებულმა ელექტროკარებმა გაითქვეს სახელი. ისინი ათობით ქვეყანაში იგზავნება. ელექტროკოსთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი პროდუქციის 85 პროცენტზე მეტი სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოდის.

ვლ. დოლიძე,
ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატი.

საბჭოთა აჭარა სკკპ XXVII ყრილობის წინ

ყრილობის დელეგატები

შრომამ ასახელა

ოლადური ჭიალმთიანი შუახევის რაიონის ჩვეულებრივი სოფელია, სადღაც ხეობაშია ჩაკარგული. ადამიანებმა ასეთ შორეულ მთის სოფელსაც გაუთქვეს სახელი. მრავალთა შორის, ვინც თავდადებით იშრომა, ნათელა ფუტკარაძეც არის. ჩვენს გმირს სხვებისაგან განსხვავებული ბიოგრაფია აქვს. ობლობაში აღიზარდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობას მიაშურა და მეთამბაქოე ქალებს ამოუდგა მხარში. პირველსავე წელს გამოიჩინა თავი. 250 კილოგრამი ხმელი თამბაქოს ნაცვლად 400 კილოგრამი ჩაბარა დამამზადებელ პუნქტს. მეორე წელს უფრო იმატა მოსავლიანობამ. ნათელას წარმატებანი მთელ რაიონში გახდა ცნობილი. ობლობისა და მარტოობის სიმძიმე მეთაბამბაქოეს შეუმსუბუქა. ასე, ხელიხელჩაკიდებულებმა, მიაღწიეს წარმატებას. რაც დრო გადიოდა, ნათელა უფრო ეუფლებოდა უხვი მოსავლის მოყვანის ხერხებს. წარმატება წარმატებას მოსდევდა. ნახელოვანი მეთამბაქოე აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ახლა იგი მარტო თავის ოჯახსა და თავის ნაკვეთზე როდი ფიქრობდა, სხვა საზრუნავიც გაუჩნდა, ხალხის ბედზე, მათს მომავალზე ფიქრი განსაკუთრებით სასიამოვნოა.

ყოველ წელს ახალი სიხარული მოჰქონდა ნათელასათვის. მეთამბაქოე კომკავშირელი პარტიის რიგებში მიიღეს, ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოვეს, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრობის კანდიდატად აირჩიეს. მეთერთმეტე ხუთწლედში 4.250 კილოგრამი ხმელი თამბაქო მიჰყიდა სახელმწიფოს და ხუთწლედის გეგმა ორმაგად შეასრულა.

წარმატებებს დიდი დაფასებაც მოჰყვა. ნათელა ფუტკარაძე საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატად აირჩიეს. ყრილობის მუშაობამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. როცა ყრილობის დარბაზში სკკპ XXVII ყრილობაზე წარსაგზავნ დელეგატებს ასახელებდნენ და ნათელამ თავის გვარსაც მოკრა ყური, მაშინ ღრმად ჩასწვდა, თუ რა დაფასება მოჰყვა უანგარო შრომას. ახლა ნათელა მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ გაამართლოს პარტიის ნდობა, თანასოფელელებთან, რაიონის მშრომელებთან ერთად მეტი სიუხვე და სილამაზე შემატოს აჭარის მთიანეთს.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

სურათზე: ნათელა ფუტკარაძე.

ხელვაჩაურის რაიონულ ცენტრს რომ გაშორდებით, ჭოროხის გაღმა შენიშნავთ მთებზე შეფენილ სოფელ მახოს.

მახოელებმა ქარის სათარაშო მთა-გორაკებზე ჩაი და ციტრუსი გაახარეს. შემდეგ თავიწყვეტილი ჭოროხი სალტეებში მოაქციეს და ორასი ჰექტარი სახმატნე და საყანე გამოსტაცეს. ადამიანთა მოუღლელმა მარჯვენამ სოფელი ედემს დაამგავსა. შარშან აშენდა ჩაის მიკროფაბრიკა, რითაც რაიონის სხვა მეჩაიეობის კოლმეურნეობებსაც გაუმართეს ხელი. 1.200 ტონა ჩაის ფოთოლი, ასობით ტონა ციტრუსი, ტუნგი, სიმინდი, მეცხოველეობაში განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები (2800 კილოგრამი რძე თითოეულ ფურზე), — ასეთია მახოელთა შრომითი წარმატებები.

თავდადებას შედეგიც შესანიშნავი მოჰყვა. 1985 წლის მაჩვენებლებით კოლმეურნეობამ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშა დამისახურა.

საპატიო ჯილდო მახოელებს საზეიმო ვითარებაში გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორეს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ.

(„კომუნისტის“ კორ.).

კოლმეურნეობას — საკავშირო დროშა

ანსამბლი პროპაგანდისტი

აბაჩარის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი (სახალხო ხელმძღვანელი — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ე. ხაბაძე, მთავარი დირიჟორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ნოღაიდელი) საქართველოს ერთ-ერთი უძველესი შემოქმედებითი კოლექტივია, რომელმაც არაერთ ქვეყანას გააცნო ტკბილი ქართული მელოდიები და ცეცხლოვანი ცეკვები.

შარშან შემოდგომაზე სსრ კავშირის კულტურის დღეებთან დაკავშირებით ანსამბლმა კონცერტები გამართა ერაყში. მეექვსე წელია ანსამბლს ზედიზედ იწვევენ ლენინგრადში, სადაც კონცერტებს მართავს ხოლმე უცხოელ ტურისტთათვის.

სურათზე: ციკვა „ხორუმი“.
ვ. დუბინინას ფოტო.

შოთა ზოიძე

აჭარა

ძველი ქართული დიდებით ბრწყინავ,
გალეწილ ხორბლის დაგდის სურნელი,
მე ვაცხებ იმას, რაც გაკლდა წინათ,
მე ვარ ის, რისიც იყავ მსურველი.
შენთა დიდებას ქვაც კი ლაღადებს,
ქვებიც დადაღეს, შანთით ამოწვეს,
ვხედავ ჭოროხთან დალილილ კახაბერს,
დგას და შენს ახალ დღეებს ამოწმებს.
დგას და ყველაზე მეტად უხარის,
მზით რომ ივსები, ცით რომ ივსები.

და როგორც ფიქრი სიბა-სულხანის
ცას აფენია თეთრი ნისლები.
დგას შორიახლოს მთები კარჩხალის,
როგორც გარდახულ დღეთა გოდები,
მზე, სალამაზე ზღვაში დამხვრჩვალი,
ხვალ კარას მთიდან გადმოგორდება...
მარადიული დიდებით ბრწყინავ,
გალეწილ ხორბლის დაგდის სურნელი,
მე ვაცხებ იმას, რაც გაკლდა წინათ,
შენი დიდების მე ვარ მსურველი.

ჯილდოების გადაცემა კრემლში

18 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ კრემლში უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოები გადასცა დაჯილდოებულთა ჯგუფს.

ლენინის ორდენები და მეორე ოქროს მედლები „ნამგალი და ურო“ მიიღეს ხერსონის ოლქის ბელოზერკის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა დ. კ. მოტორნინმ და სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საკავშირო გაერთიანების „ტიუმენხეტყიმრეწვარის“ კომკავშვილური ტყის მრეწველობის მეურნეობის ხე-ტყის დამამზადებელი ბრიგადის ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა პ. ვ. პოპოვმა.

ლენინის ორდენები და სახელოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავის“ მედლები მიიღეს არქტიკისა და ანტარქტიდის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-საველსადიციო გემის „მიხეილ სომოვის“ კაპიტანმა ვ. თ. როდჩენკომ და ყინულმჭრელ „ვლადივოსტოკის“ მაშველი ექსპედიციის უფროსმა ა. ნ. ჩილინგაროვმა. ვერტმფრინავების რგოლის მეთაური ბ. ვ. ლიალინი, რომელსაც ასეთივე ჯილდო მიენიჭა, ახლა ანტარქტიდაში იმყოფება.

ლენინის ორდენი და სოციალისტური შრომის გმირის ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ გადაეცა უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. პ. ლიაშკოს.

(საკდსი).

ადვილია თუ არა ქაირათიანობა?

თბილისის მოსახლეობას ეკ მრეწველობას ერთ თვეს ეყოფა შარშან დაზოგილი ელექტროენერგია. 800 მილიონ კილოვატსაათზე მეტი დაზოგა საქმოსავრენერგოს ენერგოზედამხედველობის მიერ შექმნილი მკაცრი კონტროლის სისტემის მეოხებით.

— ციფრი გაკვირვებით უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, იმავე პერიოდში აღმოჩენილი არარაციონალური ხარჯვის 2158 ფაქტი რომ არა, — გვითხრა ენერგოზედამხედველობის უფროსმა ვ. უშვერიძემ. — საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სწორედ მომჭირნეობის შედეგად უკვე უახლოეს პერსპექტივაში უნდა დაეკმაყოფილოთ სათბობზე და ენერგიაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების მნიშვნელოვანი ნაწილი. ელექტროენერგიის დეფიციტის პირობებში შესვენებაზე გამოურთავი ყოველი ჩირნი, ყოველი ნათურა, რომელიც ღამის განმავლობაში ანთია, ზარალს გვაყენებს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ზარალი ადგება რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსს, როცა ელექტროენერგიის დამტაცებელი დიდი საწარმოები ხდებიან. მაგალითად, რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმმაშკოს“ შარშან თითქმის 18 მილიონი კილოვატსაათი გადახარჯა. ამის მიზეზია მოწყობილობის უქმი მუშაობა, მისი არასრული დატვირთვა.

უკეთ არ არის საქმე არც სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმანქანის“ თბილისის ქარხანა „სოფლმანქანაში“, მარნეულის ფურნეში. ხოლო ზოგიერთი საწარმოს, მაგალითად, ცხაკაიას კომბინირებული საკვების ქარხნის ხელმძღვანელები მომჭირნეობის მიზნით დაადგნენ პროდუქციის ერთეულზე ელექტროენერგიის ხარჯვის ხვედრითი ნორმების დადგენის გზას.

ეს მაჩვენებელი ახლა ძირითადი ორიენტირი გახდა ენერგოზედამხედველობის მუშაობისათვის. ბოლო დროს იგი არსებითად შემცირდა თბილისის ტრიკოტაჟის საცვლების საწარმოო გაერთიანება „გლდანში“ და საწარმოო გაერთიანება „თბილისსრეფში“, თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში, რუსთავის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში და სხვა საწარმოებში.

ელექტროენერგიის ხარჯვაში ყაირათიანობა ძირითადად მიიღწევა შესახებისი მოწყობილობის ექსპლოატაციის ელემენტარული ნორმების დაცვით. მათ შორის მოწყობილობის სწორი მოვლა-შენახვის და მუშაობის ტექნოლოგიური რეჟიმის უზრუნველყოფით. მაგრამ ისეც ხდება, რომ შეიქვეს საწარმოების საქმიანობაში კორექტივები, ნერგავენ ნაკლებად ენერგოტევად პროცესებს.

არანაკლები საწრუნავი აქვს ენერგოზედამხედველობას სახალოკომუნალური მეურნეობის ობიექტებზეც. მაგრამ აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად დიდ ყურადღებას იჩენენ მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისადმი ამ მეურნეობის მუშაკები. მათზე ხომ მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული, საჭირო გახდება თუ არა ბინების დამატებით გათბობა ელექტრობუხრებით, ქურებით. უნდა ეფიქროთ იმაზეც, რომ სადარბაზოები, კიბეები, ლიფტების კაბინები აღჭურვოთ სინათლის ავტომატური გამომრთველებით. ეს დიდ დანახარჯებს არ მოითხოვს, არსებით ეფექტს კი მოიტანს.

(საკინფორმი).

პოლონელი სტუმარი

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 18 თებერვალს მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზბიგნევ მესნერი.

აეროდრომზე ზ. მესნერს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჯ. ა. ალიევი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდსი.)

საქმიანი შეხვედრები

სულ რამდენიმე დღეღა დარჩა სკკპ XXVII ყრილობის გახსნამდე. მოსკოვში ქვეყნის კომუნისტთა უმაღლეს ფორუმზე წასვლის წინ ყრილობის დელეგატები საქართველოს პარტიული ორგანიზაციისაგან, შეიკრიბნენ რესპუბლიკის დედაქალაქში. 19 თებერვალს ისინი ეწვივნენ სხვადასხვა სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

საქმიანი, კონსტრუქციული ხასიათი ჰქონდა შეხვედრებს, რომლებიც გაიმართა საქართველოს სსრ სახაგრომრეწვაში, საქართველოს პრაფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალურ კომიტეტში, მშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის, ყულტურის სამინისტროებში, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში. რესპუბლიკის კომუნისტთა დესანტი — მოწინავე მუშები და კოლმეურნეები, წარმოების მეთაურები, იტელიგენციის წარმომადგენლები. პარტიული და საბჭოთა მუშაკები ეკონომოდნენ ამ ორგანიზაციების აპარატის მუშაობას, მათს ამოცანებსა და პრობლემებს, იმას, თუ რა წარმატებებით ეგებებიან მათი კოლეტივები სკკპ XXVII ყრილობას, ლაპარაკობდნენ საყრილობო შრომითს ვახტზე თავიანთი მიღწევების გეგმების შესახებ. ეს იყო თანამოაზრეთა, იმ ადამიანთა შეხვედრები, რომლებიც დაინტერესებული არიან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპის დაჩქარებით, რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში პროგრესის უზრუნველყოფით. ისინი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ლაპარაკობდნენ იმ მასშტაბურ ამოცანებზე, რომელთა გადაწყვეტა მოუწევთ კონკრეტულ უბანზე, დარგში, რესპუბლიკასა და მთლიანად ქვეყანაში უახლოეს ხუთ წელიწადსა და 2000 წლამდე პერიოდში. შეხვედრების მონაწილენი ხელმძღვანელობენ პარტიის საყრილობო დოკუმენტებით, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით და ყურადღებას მაბავილებდნენ ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე, ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ აუცილებლად საჭიროა მთელი ორგანიზაციულ-ეკონომიკური და სოციალური რეზერვების ამოქმედება. პარტიულად პირუთვნელი და პრინციპული სკა-ბაასი გაიმართა იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთონ კიდევ მასების შემოქმედებითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობისა და ინიციატივის განვითარების, კომუნისტთა, მშრომელთა მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის ზრდისათვის.

შეხვედრების მონაწილენი გაეხიზავდნენ როგორც მიმდინარე, ისე პერსპექტიულ ამოცანებს და აყენებდნენ კონკრეტულ წინადადებებს, თუ როგორ დაჩქარონ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის ზრდა, სრულყონ პარტიული, სახელმწიფო, პროფკავშირული. კომკავშირული ორგანოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ორგანიზაციული და პოლიტიკური საქმიანობის სტილი, ფორმები და მეთოდები. სკკპ XXVII ყრილობის დელეგატებისათვის მიცემული განაწესები გამოხატავდა კომუნისტების, რესპუბლიკის ყველა მშრომელის აზრებსა და მისწრაფებებს, მათს მტკიცე გადწყვეტილებას უზრუნველყონ გეგმების უთუო შესრულება.

სკკპ XXVII ყრილობის დელეგატებს მთდამი დაქვემდებარებული სისტემების შრომითს კოლექტივებში შეხვდნენ და ესაუბრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე ო. გ. ვარძელაშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. ი. მოსაშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გ. ლორთქიფანიძე, რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების

ძველი თბილისი ახალგაზრდაა

ძველი თბილისის მასშტაბური განახლება, რომელიც მას ახალგაზრდობას უბრუნებს, გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით თბილისის საქალაქო მეურნეობის 1986-1990 წლებში შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. „პრავდის“ კორესპონდენტმა ბ. ლებანიძემ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ზ. შ. მესხიშვილს სთხოვა განმარტა ეს დოკუმენტი.

— მოგეხსენებათ, ჩვენი ქალაქი ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში — იგი ხომ 1500 წელზე მეტი ხნისაა. ამით ჩვენ ვამაყობთ. მაგრამ ამ „სიძველეს“ თავისი მეორე მხარეც ახლავს. კერძოდ, საბინაო ფონდისა და მიწისქვეშა კომუნიკაციების მნიშვნელოვანი ნაწილი მეტისმეტად მოძველდა. მთებში მომწყვდეული მილიონზე მეტი მოსახლეობის მქონე ქალაქი ათობით კილომეტრზეა გადაჭიმული მდინარე მტკვრის გასწვრივ. ასევე სიგრძეზეა გაჭიმული მიწისქვეშა წყალსადენი, საკანალიზაციო და გაზის კომუნიკაციები. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა დაბრკოლებანი იქმნება კომუნალურ მეურნეობაში.

მიღებული პროგრამა ქალაქის პრობლემებს კომპლექსურად წყვეტს. საბინაო ფონდი სამ მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობით გაიზრდება. უპირატესი ტემპით განვითარდება კომუნალური სამსახურები, ამოქმედდება 106 კილომეტრის სიგრძის და დღეღამეში 450 ათასი კუბური მეტრი წყლის სიმძლავრის წყალსატარები. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად გაგვაუმჯობესებინებს მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფის საქმეს. აშენდება თბომომარაგების სადგურები, 200-კილომეტრიანი სანაღვრე და საკანალიზაციო კოლექტორები. მნიშვნელოვნად გაფართოვდება ქალაქის სარწყავი და თბოქსელი. მთელი ამ უზარმაზარი მეურნეობის მართვაში დაგეგმარება მართვის საერთო-საქალაქო ავტომატიზებული სისტემა.

მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს სამგზავრო ტრანსპორტის საკითხებიც. გათვალისწინებულია აშენდეს ორი სატროლეიბუსო დეპო, ოთხი ავტობუსის პარკი, მსუბუქი ტაქსების პარკები. გავიყვანთ ტრამვაის და ტროლეიბუსის ახალ ხაზებს. ვითვალისწინებთ რა, რომ ქალაქი ქვაბულში, მაღალ მთებს შორის მდებარეობს, განზრახულია სამგზავრო საბაგირო გზების განვითარება. მეტროპოლიტენის ახალი ხაზები გავა „თემქის“ სადგურიდან „გლდანის“ სადგურამდე და „დელისის“ სადგურიდან „ვაჟა-ფშაველას“ სადგურამდე. დაიწყება მეტროპოლიტენის ახალი ხაზის მშენებლობა „რუსთაველის“ სადგურიდან „ვაზისუბნის“ სადგურამდე. განზრახულია დაიწყოს საქალაქთაშორისო ავტოვაგზლის მშენებლობა, ფართოვდება აეროპორტი. უკვე ახლანდელ ხუთწლედში მტკვარზე ახალი ხიდი გაიდება.

ქალაქის ნორჩი მოქალაქენი მიიღებენ ოთხ პიონერთა სახლს, სამ სპორტულ სკოლას, ორ სასკოლათაშორისო საცურაო აუზს, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებს, ორ მუსიკალურ სკოლას და კულტურის სახლებს.

ბევრი რამ არის გასაკეთებელი ახალ სამედიცინო დაწესებულებათა ასაშენებლად. დამსვენებლებს მიიღებს სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი თბილისის ზღვის პირას. აქ ერთდროულად დასვენებს და ჯანმრთელობას გაიკეთებს ორი ათას კაცზე მეტი. ახალმოსახლეობას იზეიმებენ ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის რესპუბლიკური ცენტრი, „სასწრაფო დახმარების“ კლინიკური საავადმყოფო და სხვა სამედიცინო დაწესებულებანი.

დიდ შრომას გასწევენ არქიტექტორები და მშენებლები მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობის რეკონსტრუქციისათვის. ახალ შენობას მიიღებს მოზარდ მაყურებელთა თეატრი. ამუშავდება სამი კინოთეატრი.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება საცალო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

და, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ დაგვრჩენია გარემოს დაცვის ღონისძიებანიც. ქალაქგარეთ იქნება გადატანილი დიდი საწარმოები, რომლებიც აბინძურებენ ატმოსფეროს და წყლის აუზს. გაფართოვდება მწვანე ნარგავების ფართობები. იქმნება საყვავილე-სარარანჟირეო მეურნეობა, ლანდშაფტური პარკები, კულტურისა და დასვენების პარკები.

კვლევაც გაგრძელდება მუშაობა ძველი ქალაქის თავისებური სახის შესანარჩუნებლად. უნდა აღვადგინოთ და პირვანდელი სახე დავუბრუნოთ ძველ კოშკებსა და ისტორიულ ძეგლებს, ყოველი თბილისელისათვის ძვირფას სხვა ადგილებს.

„პრავდა“. 1986 წ. 19-II.

შრომის ჯანსაღი პირობებისათვის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ მიიღეს დადგენილება იმის თაობაზე, რომ გაიმართოს რესპუბლიკური კონკურსი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საწარმოებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საპრობლემო საკითხთა გადაწყვეტის შესახებ საუკეთესო წინადადებისათვის.

რესპუბლიკური სამინისტროების, უწყებების, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ყურადღება ეპყრობა იმას, რომ არსებითი ნაკლოვანებანი შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან აცილებისათვის მუშაობაში.

ტრავმატიზმის გამომწვევ ყველაზე გავრცელებულ ფაქტორებად კვლავ რჩება სამუშაო ადგილების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, მანქანების, მოწყობილობების, მექანიზმების კონსტრუქციული ნაკლოვანებანი, არასრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესები, ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებათა უგულებელყოფა. გამომგრნებელები და რაციონალიზატორები ჯეროვნად არ მონაწილეობენ უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვის უზრუნველყოფასა და უბედური შემთხვევების თავიდან აცილებაში.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში 1985 წლის ივნისში გამართული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის რეკომენდაციების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო 1986 წლის 1 თებერვლიდან 30 სექტემბრამდე აწყობენ რესპუბლიკურ კონკურსს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საწარმოებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებზე. საუკეთესო წინადადებებისათვის.

დამტკიცდა კონკურსის პირობები, აგრეთვე მისი შედეგების შემაჯამებელი რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობა.

სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოო გაერთიანებებს, საწარმოებისა და ორგანიზაციებს ხელმძღვანელებს დაეკალთ პროფკავშირთა შესაბამის დარგობრივ კომიტეტებთან ერთად გაანალიზონ შრომითს კოლექტივებს რესპუბლიკური კონკურსის შედეგები, უზრუნველყონ კონკურსში გამომგრნებელების, რაციონალიზატორების, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა წევრების, მუშაობის, ინჟინერ-ტექნიკური და სამეცნიერო მუშაკების აქტიური მონაწილეობა, საჭირო დახმარება გაუწიონ მათ წინადადებების შემუშავებასა და დანერგვაში.

უნდა შეიქმნას კონკურსის ხელმძღვანელობისა და მისი შედეგების შემაჯამებელი დარგობრივი და ადგილობრივი კომისიები, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ადგილებზე კონკურსის შედეგების დროულ და ხარისხიან შეჯამებას.

კონკურსის გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრემიები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებაში გამოთქმულია მტკიცე რწმენა, რომ კონკურსის დროს შემოტანილი გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ეფექტიანი გამოყენება ხელს შეუწყობს ყოველ სამუშაო ადგილას შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შექმნას.

(საქინფორმი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების ოთხმოცე წლეთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალფრედ ალექსის ძე **კოლაკოვსკი** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **სიგელით.**

პარტიულ და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცე წლეთან დაკავშირებით საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი ამბ. ლუდვიგ სიმონის ძე **ხარბედია** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **სიგელით.**

ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲑᲐᲦᲘ-ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

უკანასკნელ ხანს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მთელი რიგი დადგენილებანი მიღო კოლექტიური მებაღეობის შემდგომი განვითარების შესახებ. ამ საკითხზე მნიშვნელოვანი ღონისძიებანი დასახა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით, საქართველოს სსრ მებაღეობის ამხანაგობათა მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ ბაალ აბაზაძემ განმარტა კოლექტიური მებაღეობის განვითარების ზოგიერთი საკითხი.

— როგორია კოლექტიური მებაღეობისათვის მიწის გამოყოფის წესი?

— მებაღეობის ამხანაგობათა წევრებს გამოიყოფათ 400-დან 600 კვადრატულ მეტრამდე ფართობის მიწის ნაკვეთები. კოლექტიური მებაღეობის მოსაწყობად რესპუბლიკის საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს დღეისათვის გამოყოფილი აქვთ 5000 ჰექტარი მიწის ფართობი, შექმნილია და მოქმედებს 600-მდე მებაღეობის ამხანაგობა. ამ ამხანაგობათა უმეტესობა რაციონალურად იყენებს მიწის ნაკვეთებს და აწარმოებს მნიშვნელოვანი ოდენობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. მაგალითად, რესპუბლიკაში საშუალოდ თითოეულ ნაკვეთზე მიღებულია 402 კილოგრამი სხვადასხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტი, ზოგიერთ ამხანაგობას კი სარეკორდო მოსავალი მოჰყავს. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ბევრი მებაღეობის ამხანაგობა წლების მანძილზე არ ითვისებს მიწის ფართობებს. ეს მაშინ, როცა თბილისისა და სხვა ქალაქების მთელი რიგი საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები დამატებით თხოულობენ მიწის ფართობის გამოყოფას. ჩვენი აზრით, უფრო მართებული იქნება, თუ საჭირო ღონისძიებები განხორციელდება მიღებული ნაკვეთების მაქსიმალური უკუგებით გამოყენებისათვის. რაც შეეხება გამოუყენებელ ნაკვეთებს, ჩვენ ისინი დაუყოვნებლივ უნდა გადავიცეთ იმ წარმოება-დაწესებულებებს, რომლებსაც ძალუძთ მათი ათვისება.

— როგორია ამხანაგობის წევრად მიღების წესი. მაგალითად, მამას და შვილს, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა ორგანიზაციაში, შეუძლიათ თუ არა ერთ ამხანაგობაში გაერთიანება?

— მებაღეობის ამხანაგობის წევრი, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, შეიძლება იყოს მხოლოდ იმ საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მუშაკი, სადაც ჩამოყალიბებულია ამხანაგობა, აგრეთვე ის პენსიონერები, რომლებიც წინათ ამ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში მუშაობდნენ.

მებაღეობის ამხანაგობას საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია ქმნის იმ პირობით, თუ სულ ცოტა 30 პირს სურს გახდეს ამხანაგობის წევრი. თუ მსურველთა რაოდენობა ნაკლებია, ნებადართულია საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კოოპერირება. როგორც წესი, მებაღეობის ამხანაგობა იქმნება საწარმოო პრინციპით და გარეშე პირების მიღება ნათესაური ან სხვა სახის კავშირით ყოვლად დაუშვებელია.

ამხანაგობის წევრად პირველ რიგში იღებენ დიდი სამამულო ომის მონაწილეებსა და შრომის ვეტერანებს, მუშებსა და მოსამსახურეს, რომლებსაც ჰყავთ ორი და მეტი შვილი, აგრეთვე ამხანაგობის გარდაცვლილი წევრის ერთ-ერთ მემკვიდრეს.

მებაღეობის ამხანაგობებში, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, შეიძლება მიეიღოთ მხოლოდ არამომუშავე ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები და სამამულო ომის მონაწილეები სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომების წარდგენით, მაგრამ არაუმეტეს მებაღეობის ამხანაგობის წევრთა რაოდენობის 20 პროცენტისა. შეგახსენებთ, რომ ამხანაგობიდან გასულ ან გარიცხულ წევრთა ნაცვლად ადმინისტრაციისა და პროფკომიტეტის გადაწყვეტილებით (და არა მებაღეობის გამგეობის, ან საერთო კრების დადგენილებით, როგორც ამას შეცდომით ჰქონდა აღგილი), ამხანაგობის წევრად მიიღებიან ამავე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშები და მოსამსახურეები.

სხვა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მუშათა და მოსამსახურეთა ამხანაგობის წევრად მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება, თუ იმ წარმოება-დაწესებულებაში, რომელთანაც შექმნილია ამხანაგობა, არ აღმოჩნდა წევრად მიღების მსურველი.

ამჟამად ამხანაგობებში, სადაც აქვთ ჟუთვისებელი ნაკვეთები, ახალი წევრების მიღება შეჩერებულია. უახლოეს პერიოდში დამტკიცდება ახალი წესდება და მებაღეობის ამხანაგობების თავისუფალი ნაკვეთების დაკომპლექტებაც მისი მოთხოვნების შესაბამისად მოხდება.

— რა შემთხვევაში ენიჭება ამხანაგობის წევრს საბაღე სახლის აშენების უფლება?

— მებაღეობის ამხანაგობის ძირითადი ამოცანაა შექმნას კოლექტიური ბაღი იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახების წევრთა, მოთხოვნილება ხილზე, კენკრაზე, ბოსტნეულზე. უზრუნველყოს მუშა-მოსამსახურეთა გონივრული დასვენება და ხელი შეუწყოს მოზარდთა შრომითს აღზრდას.

ამხანაგობის წევრებს უფლება აქვთ დამტკიცებული ტიპობრივი პროექტების მიხედვით ააშენონ საზაფხულო საბაღე სახლები. მებაღეობის ამხანაგობის წევრი, რომელიც არ ამუშავებს ნაკვეთს და არ აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, საბაღე სახლის პროექტსა და მშენებლობის დასაფინანსებლად საჭირო სესხს ვერ მიიღებს.

— მშენებლობის როგორი წესი არსებობს და რა დახმარება გაუწევათ მებაღეობის ამხანაგობებს და მათს წევრებს?

— საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად რესპუბლიკურ საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილია სპეციალური ორგანიზაცია, რომელიც ასრულებს მებაღეობის ამხანაგობათა შეკვეთებს ყოველგვარ პროექტზე.

საზაფხულო საბაღე სახლებს, დამბმარე სადგომებს, აგრეთვე საერთო სარგებლობის შენობა-ნაგებობებს აშენებენ როგორც უშუალოდ მებაღეობის ამხანაგობათა წევრები, ასევე იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა, სარმონტო-სამშენებლო ორგანიზაციები, რომელთა სისტემაშიც შექმნილია მებაღეობის ამხანაგობები. საკოორდინაციო საბჭოსთან მოქმედებს სარემონტო-სამშენებლო სამმართველო „საქაგროკოოპშენი“, რომელიც მებაღეობის ამხანაგობებში აშენებს საბაღე სახლებსა და საერთო კომუნიკაციებს.

— რა სახეობის საბაღე სახლის პროექტებია ამჟამად მოქმედებაში?

— ამჟამად ნებადართულია ახალი ტიპის მანსარდიანი, აგრეთვე პირველი და მეორე ტიპის საბაღე სახლებისა და ერთ ან ოროთახიანი საზაფხულო ხის ასაწყობი სახლების მშენებლობა.

ამხანაგობის წევრმა, რომელსაც მიღებული ჰქონდა ამჟამად უკვე გაუქმებული პროექტი და 1985 წლის იანვრამდე ვერ დაიწყო მშენებლობა, საკოორდინაციო საბჭოში უნდა მიიღოს ახალი პროექტი. გაუქმებული პროექტის შეცვლისათვის საჭირო თანხებს სახელმწიფო ანაზღაურებს. ის, ვინც საბაღე სახლის მშენებლობას გაუქმებული პროექტით დაიწყებს, ამხანაგობიდან გაირიცხება.

— რა წესით ხდება ასაწყობი საბაღე სახლების შეძენა?

— ასაწყობ საბაღე სახლებს ყიდის საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საკოორდინაციო საბჭოს მიერ წარდგენილი სიის მიხედვით. სახლების შეძენის მსურველებმა საკოორდინაციო საბჭოში უნდა წარადგინონ განაცხადი, რაც ხელს შეუწყობს შეკვეთის დროულად შესრულებას. ასაწყობი სახლის გაცვემისთანავე მენაშენე მიიღებს სესხს 3 ათასი მანეთის ოდენობით.

— ვინ იხარებს დამთავრებულ საბაღე სახლს საექსპლოატაციოდ და რა წესით?

— საბაღე სახლების საექსპლოატაციოდ მიღებაზე განაცხადი წარედგინება იმ რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასკომს, რომელთა ტერიტორიაზეც მდებარეობს ნაგებობა, ხოლო საბაღე სახლს სექსპლოატაციოდ მიიღებს სპეციალური კომისია.

— [illegible] ვინ [illegible] ხდება [illegible] ოდენობით [illegible] ალმაშენებლისათვის?

